

**საბჭოს 2004 წლის 13 დეკემბრის  
დირექტივა 2004/114/EC**

**სწავლის, მოსწავლეთა გაცვლის, არაანაზღაურებადი პროფესიული მომზადების ან  
მოხალისეობრივი საქმიანობის მიზნებისთვის მესამე ქვეყნის მოქალაქეების ქვეყანაში  
დაშვების პირობების შესახებ**

ევროკავშირის საბჭო,

ითვალისწინებს რა, ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებას,  
კერძოდ, მისი 63-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტსა და მე-4 პუნქტს,

ითვალისწინებს რა, კომისიის მიერ წარმოდგენილ წინადადებას,

ითვალისწინებს რა, ევროპარლამენტის მოსაზრებას [\(1\)](#),

ითვალისწინებს რა, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრებას [\(2\)](#),

ითვალისწინებს რა, რეგიონების კომიტეტის მოსაზრებას [\(3\)](#),

ვინაიდან:

(1) თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის სივრცის ეტაპობრივად შექმნის მიზნით, ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის თავშესაფართან, იმიგრაციასა და უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზომების მიღებას ითვალისწინებს.

(2) ხელშეკრულების თანახმად, საბჭომ ქვეყანაში შესვლასა და ცხოვრებასთან დაკავშირებული საიმიგრაციო პოლიტიკის ზომები და წევრი სახელმწიფოების მიერ გრძელვადიანი ვიზებისა და ბინადრობის ნებართვების გაცემისათვის საჭირო პროცედურების სტანდარტები უნდა მიიღოს.

(3) 1999 წლის 15 და 16 ოქტომბერს ქ. ტამპერეში გამართულ საგანგებო შეხვედრაზე, ევროპის საბჭომ მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ქვეყანაში დაშვებისა და ცხოვრების პირობებთან დაკავშირებით ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საჭიროება აღიარა და საბჭოს კომისიის წინადადებების საფუძველზე დროული გადაწყვეტილებების მიღების თხოვნით მიმართა.

(4) წინამდებარე დირექტივა ფუნდამენტურ უფლებებს პატივს სცემს და ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიით აღიარებულ პრინციპებს იცავს.

(5) წევრმა სახელმწიფოებმა დირექტივის დებულებები სქესის, რასის, კანის ფერის, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, გენეტიკური ფაქტორების, ენის, რელიგიის ან რწმენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული უმცირესობის წევრობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების, შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკისა თუ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე უნდა განახორციელონ.

(6) განათლების სფეროში ევროგაერთიანების ერთ-ერთი მიზანი ევროპის, როგორც სწავლისა და პროფესიული მომზადების თვალსაზრისით მსოფლიოს მოწინავე ცენტრის, წინსვლაა. ამ სტრატეგიის ძირითადი კრიტერიუმი სასწავლო მიზნით ევროგაერთიანებაში მესამე ქვეყნის მოქალაქეთა მობილობის ხელშეწყობაა. მისი შემადგენელი ნაწილია ქვეყანაში შესვლასა და ცხოვრების პირობებთან მიმართებით წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობების დაახლოება.

(7) წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული მიზნებისათვის, მიგრაცია, რომელიც, პრინციპში, დროებითია და მიმღებ ქვეყანაში შრომის ბაზრის მდგომარეობაზე არ არის დამოკიდებული, შესაბამისი მიგრანტებისთვის, მათი წარმოშობის ქვეყნისა და მიმღები წევრი სახელმწიფოსთვის საერთო კეთილდღეობის სახეს წარმოადგენს და კულტურათა შორის სიახლოვის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

(8) წინამდებარე დირექტივაში განსაზღვრული მიზნებისათვის, ტერმინი „დაშვება“ მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ქვეყანაში შესვლასა და ცხოვრებას მოიცავს.

(9) ევროგაერთიანების ახალი წესები ეფუძნება სტუდენტის, სტაჟიორის, საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მოხალისის ცნების განსაზღვრებებს, რომლებიც უკვე გამოიყენება გაერთიანების კანონმდებლობაში, კერძოდ, დაინტერესებულ პირთა მობილობის ხელშეწყობ სხვადასხვა პროგრამებში („სოკრატე“, „ევროპის მოხალისეთა სამსახური“, ა.შ.).

(10) წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული სტუდენტების მოსამზადებელი კურსების ხანგრძლივობა და სხვა პირობები წევრი სახელმწიფოების მიერ, მათი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად უნდა განისაზღვროს.

(11) წინამდებარე დირექტივა არ ეხება მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებს, რომლებიც არაანაზღაურებადი სტაჟიორებისა და მოხალისეების კატეგორიას მიეკუთვნებიან და რომლებიც თავიანთი საქმიანობის ან გარკვეული კომპენსაციის ან ანაზღაურების მიღების გამო, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, მუშაკებად არიან მიჩნეულნი. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ იმ მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ქვეყანაში დაშვება, რომლებიც მედიცინის დარგში სპეციალიზებული განათლების მიღებას აპირებენ.

(12) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტის მიღების დასტური შეიძლება, სხვა შესაძლებლობებთან ერთად, მისი ჩარიცხვის შესახებ წერილს ან ცნობას შეიცავდეს.

(13) საკმარისი რესურსების არსებობის შეფასებისთვის, შესაძლებელია სტიპენდიების გათვალისწინება.

(14) წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული მიზნებისათვის, პირს შეიძლება, სათანადოდ დასაბუთებული მოტივით, ქვეყანაში დაშვებაზე უარი ეთქვას. კერძოდ, დაშვებაზე შეიძლება უარი ეთქვას მესამე ქვეყნის მოქალაქეს, თუ, ფაქტების შეფასების საფუძველზე, წევრი სახელმწიფო მიიჩნევს, რომ იგი სახელმწიფო პოლიტიკისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის პოტენციურ საშიშროებას წარმოადგენს. სახელმწიფო პოლიტიკის ცნება შეიძლება სერიოზული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელს მოიცავდეს. ასეთ შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო პოლიტიკისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ცნება აგრეთვე მოიცავს იმ შემთხვევებს, როცა მესამე ქვეყნის მოქალაქე ტერორიზმის მხარდამჭერ ასოციაციას მიეკუთვნება/მიეკუთვნებოდა, ასეთ ასოციაციას მხარს უჭერს/ უჭერდა ან ექსტრემისტული მისწრაფებები აქვს/ჰქონდა.

(15) ქვეყანაში დაშვების მოთხოვნით წარდგენილი განცხადების მოტივთან დაკავშირებით ეჭვების გაჩენის შემთხვევაში, წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოითხოვონ ნებისმიერი სახის მტკიცებულების წარდგენა, რომელიც მისი დასაბუთებულობის შეფასებისთვის არის საჭირო, განსაკუთრებით, იმ სასწავლო კურსის საფუძველზე, რომლის გავლასაც განმცხადებელი ამ დირექტივით გათვალისწინებული პროცედურის დარღვევის და ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით აპირებს.

(16) წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული მიზნებისათვის, გაერთიანების ფარგლებში ან მისი მიმართულებით მობილობის მხარდაჭერისთვის, ხელი უნდა შეეწყოს იმ სტუდენტთა მობილობას, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან და განათლებას რამდენიმე წევრ სახელმწიფოში იღებენ და, აგრეთვე, მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეთა ქვეყანაში დაშვებას, რომლებიც ევროგაერთიანების პროგრამებში მონაწილეობენ.

(17) თავიანთ ტერიტორიაზე პირის პირველად შესვლის ნებართვისთვის, წევრ სახელმწიფოებს ბინადრობის ნებართვის ან, თუ ისინი ბინადრობის ნებართვებს მხოლოდ მათ ტერიტორიაზე გასცემენ, ვიზის დროულად გაცემის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ.

(18) სტუდენტებს, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან, მათი სასწავლო ხარჯების ნაწილის დაფარვის მიზნით, შრომის ბაზარზე წვდომის საშუალება წინამდებარე დირექტივაში ჩამოყალიბებული პირობების შესაბამისად უნდა მიეცეთ. სტუდენტთა შრომის ბაზარზე დაშვების პრინციპი, ამ დირექტივის პირობების შესაბამისად, საერთო წესს უნდა წარმოადგენდეს; თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, საკუთარ ეროვნულ შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა გაითვალისწინონ.

(19) წინასწარი ნებართვის ცნება ითვალისწინებს სამუშაო ნებართვების გაცემას იმ სტუდენტებზე, რომელთაც ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება სურთ.

(20) წინამდებარე დირექტივა ნახევარ განაკვეთზე მუშაობის სფეროში მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობაზე გავლენას არ ახდენს.

(21) გათვალისწინებული უნდა იყოს დებულებები ქვეყანაში დაშვების დაჩქარებულ პროცედურებთან დაკავშირებით, სასწავლო მიზნებისთვის ან მოსწავლეთა გაცვლითი

პროგრამებისთვის, რომელთაც წევრ სახელმწიფოებში აღიარებული ორგანიზაციები ახორციელებენ.

(22) თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყოს, განსაკუთრებით ინტერნეტში, შეძლებისდაგვარად სრული და რეგულარულად განახლებადი ინფორმაცია წინამდებარე დირექტივაში განსაზღვრულ დაწესებულებებსა და იმ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, რომლებზეც მესამე ქვეყნის მოქალაქეების დაშვება შესაძლებელია, აგრეთვე, ინფორმაცია მის ტერიტორიაზე ამგვარი მიზნებისთვის შესვლისა და ბინადრობის პირობებისა და პროცედურების შესახებ.

(23) წინამდებარე დირექტივა არცერთ შემთხვევაში არ უნდა ახდენდეს გავლენას მესამე ქვეყნის მოქალაქეებისათვის ბინადრობის ნებართვების ერთიანი ფორმატის დადგენის შესახებ საბჭოს 2002 წლის 13 ივნისის (EC) No 1030/2002 რეგულაციის გამოყენებაზე [\(4\)](#).

(24) ვინაიდან ამ დირექტივის მიზნის, კერძოდ, სწავლის, მოსწავლეთა გაცვლის, არაანაზღაურებადი პროფესიული მომზადების ან მოხალისეობრივი საქმიანობის მიზნებისათვის მესამე ქვეყნის მოქალაქეთათვის ქვეყანაში დაშვების პირობების დადგენა წევრი ქვეყნების მიერ საკმარისად ვერ ხერხდება და, მისი მასშტაბისა და შედეგების გამო, შესაძლებელია უკეთესად იქნეს მიღწეული ევროგაერთიანების დონეზე, გაერთიანებას ხელშეკრულების მე-5 მუხლში ჩამოყალიბებული სუბსიდირების პრინციპის შესაბამისი ზომების მიღება შეუძლია. ამავე მუხლში მითითებული პროპორციულობის პრინციპის თანახმად, წინამდებარე დირექტივა აღნიშნულ მიზნის მისაღწევად საჭირო ფარგლებს არ სცდება.

(25) გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის პოზიციის შესახებ ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლების თანახმად, რომელიც ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებას თან ერთვის და აღნიშნული ოქმის მე-4 მუხლისათვის ზიანის მიყენების გარეშე, ეს წევრი სახელმწიფოები წინამდებარე დირექტივის მიღებაში არ მონაწილეობენ და არ ეკისრებათ ვალდებულება მის თანახმად ან არ მოეთხოვებათ მისი გამოყენება.

(26) დანიის პოზიციის შესახებ ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლების თანახმად, რომელიც ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებას თან ერთვის, დანია წინამდებარე დირექტივის მიღებაში არ მონაწილეობს და არ ეკისრება ვალდებულება მის თანახმად ან არ მოეთხოვება მისი გამოყენება.

მიიღო შემდეგი დირექტივა:

**თავი I**  
**ზოგადი დებულებები**

*მუხლი 1*

**საგანი**

წინამდებარე დირექტივის მიზანია, განსაზღვროს:

(ა) წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მესამე ქვეყნის მოქალაქეთა დაშვების პირობები სამ თვეზე მეტი ვადით, სწავლის, მოსწავლეთა გაცვლის, არაანაზღაურებადი პროფესიული მომზადების ან მოხალისეობრივი საქმიანობის მიზნებისათვის.

(ბ) წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მესამე ქვეყნის მოქალაქეთა დაშვებისათვის საჭირო პროცედურებთან დაკავშირებული წესები.

*მუხლი 2*

**განსაზღვრებები**

წინამდებარე დირექტივის მიზნებისათვის:

(ა) „მესამე ქვეყნის მოქალაქე“ ნიშნავს ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც, ხელშეკრულების მე-17 მუხლის 1-ელი პუნქტში მოცემული განსაზღვრების თანახმად, ევროკავშირის მოქალაქე არ არის;

(ბ) „სტუდენტი“ ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც მიღებულ იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ და დაშვებულ იქნა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ძირითადი საქმიანობის სახით სრული სასწავლო კურსის გავლის მიზნით, რაც საბოლოოდ ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მიღებას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დიპლომების, სერტიფიკატების ან სადოქტორო ხარისხის ჩათვლით; სასწავლო კურსი შეიძლება მოიცავდეს წინასწარ მოსამზადებელ კურსს ასეთი სახის განათლებისთვის, წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

(გ) „სკოლის მოსწავლე“ ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც დაშვებულ იქნა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე საშუალო საგანმანათლებლო კურსის გავლის მიზნით, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს წევრი სახელმწიფოს მიერ ამ მიზნისთვის აღიარებული ორგანიზაცია, მისი ეროვნული კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული პრაქტიკის შესაბამისად;

(დ) „არაანაზღაურებადი სტაჟიორი“ ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც დაშვებულ იქნა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არაანაზღაურებადი პროფესიული მომზადებისთვის საჭირო პერიოდით, წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად;

(ე) „დაწესებულება“ გულისხმობს მიმღები წევრი სახელმწიფოს მიერ აღიარებულ საჯარო ან კერძო დაწესებულებას და/ან რომლის სასწავლო კურსები/პროგრამა აღიარებულია ამ წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული პრაქტიკის თანახმად, წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული მიზნებისათვის.

(ვ) „მოხალისეობრივი საქმიანობის სქემა“ გულისხმობს საქმიანობის პროგრამას პრაქტიკული სოლიდარობის გაწევის მიზნით, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო პროგრამის ან გაერთიანების პროგრამის ფარგლებში, საერთო ინტერესის მიზნების მისაღწევად;

(ზ) „ბინადრობის ნებართვა“ ნიშნავს წევრი სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემულ ნებისმიერი სახის ნებართვას, რომლითაც მესამე ქვეყნის მოქალაქეს (EC) 1030/2002 რეგულაციის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად დარჩენის უფლება აქვს.

### **მუხლი 3** **მოქმედების სფერო**

1. წინამდებარე დირექტივა ეხება მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც წევრ სახელმწიფოს სწავლის მიზნით მის ტერიტორიაზე შესვლის/დაშვების მოთხოვნით მიმართავენ.

წევრ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ, ამ დირექტივის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებთან მიმართებით მიიღონ, რომლებიც მათ ქვეყანაში შესვლის თხოვნით მოსწავლეთა გაცვლის, არაანაზღაურებადი პროფესიული მომზადების ან მოხალისეობრივი საქმიანობის მიზნებისათვის მიმართავენ.

2. წინამდებარე დირექტივა არ გამოიყენება მესამე ქვეყნების ქვემოთ ჩამოთვლილი მოქალაქეების მიმართ:

(ა) მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ წევრ სახელმწიფოში როგორც თავშესაფრის მაძიებლები ან დამატებითი დაცვის ან დროებითი დაცვის სქემის საფუძველზე;

(ბ) მოქალაქეები, რომელთა გაძევების დაყოვნება ფაქტობრივი ან სამართლებრივი მიზეზების გამო მოხდა;

(გ) მოქალაქეები, რომლებიც ევროკავშირის მოქალაქეების ოჯახის წევრები არიან და რომლებიც ევროგაერთიანების ფარგლებში თავისუფლად გადაადგილების უფლებით სარგებლობდნენ;

(დ) მოქალაქეები, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეთა გრძელვადიანი ბინადრობის შესახებ საბჭოს 2003 წლის 25 ნოემბრის #2003/109/EC დირექტივის თანახმად [\(5\)](#) წევრ სახელმწიფოში გრძელვადიანი ბინადრობის სტატუსითა და განათლების მიღების ან პროფესიული მომზადების მიზნით სხვა წევრ სახელმწიფოში ცხოვრების უფლებით სარგებლობენ;

(ე) მოქალაქეები, რომლებიც, წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით, დაქირავებულ მუშაკებად ან ინდივიდუალური საქმიანობით დაკავებულ პირებად არიან მიჩნეულნი.

#### **მუხლი 4**

#### **უფრო ხელსაყრელი დებულებები**

1. წინამდებარე დირექტივა არ არღვევს შემდეგი დოკუმენტების უფრო ხელსაყრელ პირობებს:

(ა) გაერთიანებას შორის ან გაერთიანებასა და მის წევრ სახელმწიფოებსა და ერთ ან მეტ მესამე ქვეყანას შორის დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები; ან

(ბ) ერთ ან მეტ წევრ სახელმწიფოსა და ერთ ან მეტ მესამე ქვეყანას შორის დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები.

2. წინამდებარე დირექტივა ზიანს არ აყენებს წევრი სახელმწიფოების უფლებას, მიიღოს ან ძალაში დატოვოს უფრო ხელსაყრელი დებულებები იმ პირებისათვის, რომლებზეც ის ვრცელდება.

#### **თავი II**

#### **ქვეყანაში დაშვების პირობები**

#### **მუხლი 5**

#### **პრინციპი**

წინამდებარე დირექტივის თანახმად, მესამე ქვეყნის მოქალაქის ქვეყანაში დაშვება ექვემდებარება იმ დოკუმენტური მტკიცებულებების შემოწმებას, რომელთა მიხედვითაც დგინდება, აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებელი მე-6 მუხლში ჩამოყალიბებულ პირობებსა და მე-7-მე-11 მუხლებით გათვალისწინებულ პირობებს, იმის მიხედვით, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება ეს პიროვნება.

#### **მუხლი 6**

#### **ზოგადი პირობები**

1. მე-7-მე-11 მუხლებში ჩამოყალიბებული მიზნებისათვის, მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ქვეყანაში დაშვების მოთხოვნით განცხადებას წარადგენს:

(ა) წარმოადგენს მოქმედ სამგზავრო დოკუმენტს, როგორც ეს ეროვნული კანონმდებლობით არის დადგენილი. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების ვადა, სულ მცირე, ქვეყანაში დარჩენის სავარაუდო ვადას მოიცავდეს;

(ბ) თუ, მიმღები წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, იგი არასრულწლოვანია, წარადგენს მშობლების ნებართვას ქვეყანაში დაგეგმილ ყოფნასთან დაკავშირებით;

(გ) უნდა ჰქონდეს ჯანმრთელობის დაზღვევა ყველა იმ რისკებთან მიმართებით, რომელსაც შესაბამისი წევრი სახელმწიფო, ჩვეულებრივ, ფარავს თავისი მოქალაქეებისათვის;

(დ) სახელმწიფო პოლიტიკის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის საშიშროებას არ უნდა წარმოადგენდეს;

(ე) წევრი სახელმწიფოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, წარადგენს დამადასტურებელ საბუთს, რომ მას გადახდილი აქვს განცხადების განხილვის მოსაკრებელი, მე-20 მუხლის საფუძველზე.

2. წევრი სახელმწიფოები ქვეყანაში დაშვების პროცედურას ხელს უწყობენ მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც გაერთიანების მიმართულებით ან მის შიგნით მობილობის გაზრდის პროგრამებში მონაწილეობენ და რომლებსაც მე-7–მე-11 მუხლები შეეხება.

## **მუხლი 7**

### **სპეციალური პირობები სტუდენტებისათვის**

1. მე-6 მუხლში გათვალისწინებული ზოგადი პირობების გარდა, სწავლის მიზნით ქვეყანაში დაშვებაზე განაცხადის წარდგენისას მესამე ქვეყნის მოქალაქე:

(ა) მიღებული უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ამ დაწესებულებაში სასწავლო კურსის გასაველეად;

(ბ) წარადგენს წევრი სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილ მტკიცებულებას იმისა, რომ მისი ქვეყანაში ყოფნის პერიოდში მას საარსებო, სწავლის და უკან დასაბრუნებელი სამგზავრო ხარჯების დასაფარად საკმარისი სახსრები ექნება. ამისთვის, წევრი სახელმწიფოები აქვეყნებენ ყოველთვიური სახსრების მინიმალურ ოდენობას, რაც თითოეული შემთხვევის ინდივიდუალურად განხილვას არ ზღუდავს.

(გ) წევრი სახელმწიფოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, წარადგენს მტკიცებულებას იმისა, რომ იგი საკმარისად ფლობს იმ ენას, რომელზეც მან უნდა გაიაროს სასწავლო კურსი;

(დ) წევრი სახელმწიფოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, წარადგენს დამადასტურებელ საბუთს იმისა, რომ მას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დაწესებული გადასახადი გადახდილი აქვს.

2. სტუდენტებმა, რომლებსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შედეგად, ავტომატურად ეძლევათ უფლება ჯანმრთელობის დაზღვევაზე ყველა იმ რისკთან მიმართებით, რომელსაც შესაბამისი წევრი სახელმწიფო თავისი მოქალაქეებისთვის ფარავს, მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა უნდა შეასრულონ.



## **მუხლი 8**

### **სტუდენტთა მობილობა**

1. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-16 მუხლისა და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტს დარღვევის გარეშე, მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დაშვებულ იქნა ქვეყანაში სტუდენტის სტატუსით და განცხადებით მიმართავს უკვე დაწყებული სწავლის ნაწილი კურსის ან დამატებითი სახით, მსგავსი სასწავლო კურსის სხვა წევრ სახელმწიფოში გავლის მიზნით ნებართვისთვის, ამ უკანასკნელი წევრი სახელმწიფოს მიერ იმ პერიოდით დაიშვება, რომელიც შესაბამის სასწავლო პროცესს ხელს არ შეუშლის და, ამასთან, კომპეტენტურ ორგანოებს განცხადების განსახილველად საკმარის დროს აძლევს, თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე(მ):

(ა) ასრულებს მე-6 და მე-7 მუხლებში ჩამოყალიბებულ პირობებს ამ წევრ სახელმწიფოსთან მიმართებით; და

(ბ) ქვეყანაში დაშვების მოთხოვნის განცხადებასთან ერთად, წარადგინა მისი აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი სრული დოკუმენტაცია და დასტური იმისა, რომ ის სასწავლო კურსი, რომლის გავლასაც სხვა წევრ სახელმწიფოში აპირებს, ნამდვილად წარმოადგენს მის მიერ უკვე გავლილი სასწავლო კურსის შემავსებელ ნაწილს; და

(გ) მონაწილეობას იღებს გაერთიანების პროგრამაში ან ორმხრივ გაცვლით პროგრამაში ან დაშვებულ იქნა წევრ სახელმწიფოში, როგორც სტუდენტი არანაკლებ 2 წლის ვადით.

2. 1-ელი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული მოთხოვნები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა სტუდენტი, სასწავლო პროგრამის ფარგლებში, ვალდებულია, თავისი სასწავლო კურსის ნაწილს სხვა წევრი სახელმწიფოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაესწროს.

3. პირველი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები, მეორე წევრი სახელმწიფოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების თხოვნის საფუძველზე, მათ სტუდენტის პირველი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნასთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციას წარუდგენენ.

## **მუხლი 9**

### **სპეციალური პირობები სკოლის მოსწავლეებისათვის**

1. მე-3 მუხლის საფუძველზე, მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც მოსწავლეთა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე მოთხოვნას წარადგენს, მე-6 მუხლში გათვალისწინებული ზოგადი პირობების შესრულებასთან ერთად:

(ა) არ უნდა იყოს შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმალურ ასაკზე ნაკლები და მაქსიმალურ ასაკზე მეტი წლოვანების;

(ბ) წარადგენს დამადასტურებელ საბუთს იმისა, რომ იგი საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულია;

(გ) წარადგენს მოსწავლეთა გაცვლით პროგრამაში მისი მონაწილეობის დამადასტურებელ საბუთს, რომელსაც შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ ამ მიზნისთვის აღიარებული ორგანიზაცია მისი ეროვნული კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული პრაქტიკის შესაბამისად ახორციელებს;

(დ) წარადგენს დასტურს იმისა, რომ მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია ამ პირზე პასუხისმგებლობას, კერძოდ, მის საარსებო, სწავლის, ჯანდაცვისა და უკან დასაბრუნებელ სამგზავრო ხარჯებთან დაკავშირებით, შესაბამისი წევრ სახელმწიფოში მისი ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში იღებს;

(ე) ქვეყანაში მისი ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში, იცხოვრებს ოჯახში, რომელიც შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და რომელიც შერჩეულია იმ მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამის წესების შესაბამისად, რომელშიც ის მონაწილეობს;

2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, გაცვლით პროგრამაში მონაწილე მოსწავლეთა დაშვება იმ მესამე ქვეყნების მოქალაქეების მიმართ შეზღუდონ, რომლებიც თავიანთ მოქალაქეებს მსგავს შესაძლებლობას სთავაზობენ.

### **მუხლი 10**

#### **სპეციალური პირობები არაანაზღაურებადი სტაჟირებისათვის**

1. მე-3 მუხლის საფუძველზე, მესამე ქვეყნის მოქალაქემ, რომელიც არაანაზღაურებადი სტაჟირებისთვის ქვეყანაში დაშვებაზე მოთხოვნას წარადგენს, მე-6 მუხლში გათვალისწინებული ზოგადი პირობების შესრულებასთან ერთად:

(ა) საჯარო ან კერძო სექტორის საწარმოში ან წევრი სახელმწიფოს მიერ ეროვნული კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული პრაქტიკის შესაბამისად აღიარებულ პროფესიული მომზადების დაწესებულებაში არაანაზღაურებად სტაჟირებასთან დაკავშირებით ხელი უნდა მოაწეროს პროფესიული მომზადების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოს მიერ მისი ეროვნული კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული პრაქტიკის შესაბამისად იქნება დამტკიცებული;

(ბ) წევრი სახელმწიფოს მოთხოვნის საფუძველზე, უნდა წარადგინოს მტკიცებულება იმისა, რომ ქვეყანაში ყოფნის პერიოდში საარსებო, სწავლის და უკან დასაბრუნებელი სამგზავრო ხარჯების დასაფარად საკმარისი სახსრები ექნება. ამისთვის, წევრი სახელმწიფოები აქვეყნებენ ყოველთვიური სახსრების მინიმალურ ოდენობას, რაც თითოეული შემთხვევის ინდივიდუალურად განხილვას არ ზღუდავს.

(გ) წევრი სახელმწიფოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, სტაჟირებისთვის საჭირო ცოდნის მისაღებად, უცხო ენაში საბაზისო მომზადება უნდა გაიაროს.

## **მუხლი 11**

### **სპეციალური პირობები მოხალისეებისათვის**

1. მე-3 მუხლის საფუძველზე, მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც მოხალისეობრივი საქმიანობის პროგრამაში მონაწილეობის მიზნით ქვეყანაში დაშვების თხოვნას წარადგენს, მე-6 მუხლში გათვალისწინებული ზოგადი პირობების შესრულებასთან ერთად:

(ა) არ უნდა იყოს შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმალურ ასაკზე ნაკლები და მაქსიმალურ ასაკზე მეტი წლოვანების;

(ბ) წარადგენს შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მოხალისეობრივი საქმიანობის პროგრამაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციასთან დადებულ ხელშეკრულებას, რომელშიც ის მონაწილეობს; ხელშეკრულებაში აღწერილია მისი ამოცანები, ამ ამოცანების მის მიერ შესრულების გაკონტროლების პირობები, მისი სამუშაო საათები, ქვეყანაში ყოფნის პერიოდში მგზავრობის, საარსებო, საცხოვრებელი ხარჯებისა და ჯიბის ფულის დასაფარად საჭირო სახსრები და, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სწავლება, რომელიც მას თავისი სამუშაოს შესრულებაში დაეხმარება;

(გ) წარადგენს დამადასტურებელ საბუთს იმისა, რომ მოხალისეობრივი საქმიანობის პროგრამაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას, რომელშიც ის მოხალისედ მონაწილეობს, დაზღვეული აქვს მისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა და, ქვეყანაში მისი ყოფნის პერიოდში, მასზე სრულ პასუხისმგებლობას იღებს, განსაკუთრებით, ამ მოქალაქის საარსებო, ჯანდაცვისა და უკან დასაბრუნებელ სამგზავრო ხარჯებზე;

(დ) და, მიმღები წევრი სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებულად მოთხოვნის შემთხვევაში, ამ წევრი სახელმწიფოს ენის, ისტორიის და პოლიტიკურ და სოციალურ სტრუქტურებთან დაკავშირებით ძირითად გაცნობით კურსს გაივლის.

## **თავი III**

### **ბინადრობის ნებართვები**

#### **მუხლი 12**

#### **სტუდენტებზე გაცემული ბინადრობის ნებართვა**

1. სტუდენტზე ბინადრობის ნებართვა სულ მცირე ერთი წლის ვადით გაცემა, მისი გაგრძელების შესაძლებლობით, იმ შემთხვევაში, თუ ბინადრობის ნებართვის მქონე პირი მე-6 და მე-7 მუხლებში გათვალისწინებულ პირობებს კვლავ აკმაყოფილებს. თუ სასწავლო კურსის ხანგრძლივობა ერთ წელზე ნაკლებია, ბინადრობის ნებართვა კურსის ხანგრძლივობის ვადით იქნება ძალაში.

2. მე-16 მუხლის დარღვევის გარეშე, ბინადრობის ნებართვის მფლობელს შეიძლება ბინადრობის ნებართვა ჩამოერთვას ან მის გაგრძელებაზე უარი ეთქვას, თუ იგი:

(ა) არ იცავს იმ შეზღუდვებს, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობაზე დაშვებასთან დაკავშირებით მე-17 მუხლის თანახმად არის დაწესებული;

(ბ) ეროვნული კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული პრაქტიკის შესაბამისად, სწავლაში არასათანადო პროგრესი აქვს.

### **მუხლი 13**

#### **სკოლის მოსწავლეებზე გაცემული ბინადრობის ნებართვა**

ბინადრობის ნებართვა მოსწავლეებზე არაუმეტეს ერთი წლის ვადით გაიცემა.

### **მუხლი 14**

#### **არაანაზღაურებად სტაჟიორებზე გაცემული ბინადრობის ნებართვა**

არაანაზღაურებადი სტაჟიორებისათვის ბინადრობის ნებართვა გაიცემა იმ ვადით, რა ხანგრძლივობითაც მათი სტაჟირება გრძელდება ან არაუმეტეს ერთი წლით. გამონაკლის შემთხვევებში, მისი მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ და მხოლოდ იმ ვადით, რომელიც წევრი სახელმწიფოს მიერ, მისი ეროვნული კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული პრაქტიკის შესაბამისად აღიარებული პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად არის საჭირო, თუ ბინადრობის ნებართვის მფლობელი კვლავ ასრულებს მე-6 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებულ პირობებს.

### **მუხლი 15**

#### **მოხალისეებისთვის გაცემული ბინადრობის ნებართვა**

მოხალისეებზე ბინადრობის ნებართვა არაუმეტეს ერთი წლის ვადით გაიცემა. გამონაკლის შემთხვევებში, თუ კონკრეტული პროგრამის ხანგრძლივობა ერთ წელზე მეტია, მაშინ ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობის ვადა შეიძლება ხსენებულ პერიოდს შეესაბამებოდეს.

### **მუხლი 16**

#### **ბინადრობის ნებართვის ჩამორთმევა ან გაგრძელებაზე უარის თქმა**

1. წინამდებარე დირექტივის საფუძველზე გაცემული ბინადრობის ნებართვის ჩამორთმევა ან მის გაგრძელებაზე უარის თქმა წევრ სახელმწიფოებს მაშინ შეუძლიათ, როდესაც ის თაღლითური გზით არის მოპოვებული ან აღმოჩნდება, რომ მისი მფლობელი მე-6 მუხლით გათვალისწინებულ ქვეყანაში შესვლისა და ცხოვრების პირობებსა და, ასევე, მე-7–მე-11 მუხლებში ჩამოყალიბებულ პირობებს არ აკმაყოფილებდა ან აღარ აკმაყოფილებს, იმის მიხედვით, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება ეს პიროვნება.

2. წევრ სახელმწიფოებს ბინადრობის ნებართვის ჩამორთმევა ან მის გაგრძელებაზე უარის თქმა სახელმწიფო პოლიტიკის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფუძველზეც შეუძლიათ.

**თავი IV**  
**მესამე ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ მოპყრობა**  
**მუხლი 17**

**სტუდენტთა მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება**

1. სასწავლო საათების შემდეგ და მიმღებ წევრ სახელმწიფოში შესაბამის საქმიანობასთან დაკავშირებული წესებისა და პირობების გათვალისწინებით, სტუდენტებს დაქირავებით მუშაობის უფლება აქვთ და ეკონომიკური საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელება შეუძლიათ. შესაძლებელია, გათვალისწინებული იყოს მიმღები წევრი სახელმწიფოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა.

საჭიროების შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოები სტუდენტებს და/ან დამსაქმებლებს, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, წინასწარ ნებართვას აძლევენ.

2. თითოეული წევრი სახელმწიფო ადგენს სამუშაო საათების დასაშვებ მაქსიმალურ რაოდენობას კვირაში ან სამუშაო დღეების ან თვეების მაქსიმალურ რაოდენობას წელიწადში; ეს რაოდენობა კვირაში 10 საათზე ან წელიწადში ექვივალენტური რაოდენობის დღეებსა და თვეებზე ნაკლები არ უნდა იყოს.

3. მიმღებ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, სტუდენტის ქვეყანაში ცხოვრების პირველი წლის განმავლობაში ეკონომიკურ საქმიანობაზე დაშვება შეზღუდოს.

4. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლებელია მოსთხოვონ სტუდენტებს, რომ მათ შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ დანიშნულ ორგანოს მათ მიერ ეკონომიკური საქმიანობით დაკავების შესახებ წინასწარ ან სხვაგვარად შეატყობინონ. წინასწარ და სხვა სახით შეტყობინების ვალდებულება ასევე შეიძლება დაეკისროს მათ დამსაქმებლებსაც.

**თავი V**  
**პროცედურა და გამჭვირვალობა**  
**მუხლი 18**

**პროცედურული გარანტიები და გამჭვირვალობა**

1. ბინადრობის ნებართვის მოპოვების ან გაგრძელების შესახებ განცხადებაზე გადაწყვეტილება მიიღება და განმცხადებელს ეცნობება იმ ვადაში, რაც შესაბამისი სწავლის განხორციელებას ხელს არ შეუშლის. ამასთან, კომპეტენტურ ორგანოებს განცხადების განხილვისთვის საკმარისი დრო უნდა ჰქონდეთ.

2. თუ განცხადებასთან ერთად წარდგენილი ინფორმაცია არასაკმარისია, მაშინ განცხადების განხილვა შეიძლება შეჩერდეს და კომპეტენტური ორგანოები განმცხადებელს დამატებითი ინფორმაციის წარდგენის საჭიროების შესახებ აცნობებენ.

3. მესამე ქვეყნის მოქალაქეს ბინადრობის ნებართვის მოთხოვნით წარდგენილ განცხადებაზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ შესაბამისი ეროვნული

კანონმდებლობით გათვალისწინებული შეტყობინების პროცედურების თანახმად ეცნობება. შეტყობინებაში მითითებული იქნება შესაძლო გასაჩივრების არსებული პროცედურები და ამგვარი ქმედების განხორციელების ვადა.

4. განცხადებაზე უარის თქმის ან ამ დირექტივის შესაბამისად გაცემული ბინადრობის ნებართვის გაუქმების შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შესაბამისი წევრი სახელმწიფოს ორგანოებში აღნიშნულის სასამართლო გზით გასაჩივრების უფლება აქვს.

### **მუხლი 19**

#### **სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის ბინადრობის ნებართვებისა და ვიზების გაცემის დაჩქარებული პროცედურა**

ქვეყანაში დაშვების დაჩქარებული პროცედურის შესახებ ხელშეკრულება, რომლითაც დაინტერესებული მესამე ქვეყნის მოქალაქის სახელზე ბინადრობის ნებართვების ან ვიზების გაცემა არის ნებადართული, შეიძლება დაიდოს ერთი მხრივ, მესამე ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისა და მოსწავლეების ქვეყანაში შესვლასა და ცხოვრებაზე პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს ორგანოსა და, მეორე მხრივ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ან მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამების განმახორციელებელ ორგანიზაციას შორის, რომელიც შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ ამ მიზნისთვის, მისი ეროვნული კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული პრაქტიკის შესაბამისად არის აღიარებული.

### **მუხლი 20**

#### **მოსაკრებლები**

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, წინამდებარე დირექტივის თანახმად, განმცხადებლებისგან განცხადებების განხილვისთვის მოსაკრებლის გადახდა მოითხოვონ.

### **თავი VI**

#### **დასკვნითი დებულებები**

### **მუხლი 21**

#### **ანგარიში**

პერიოდულად და, პირველად, 2010 წლის 12 იანვრამდე, კომისია ევროპის პარლამენტსა და საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ამ დირექტივის გამოყენებასთან დაკავშირებით ანგარიშს წარუდგენს და, საჭიროების შემთხვევაში, შესწორებებს შესთავაზებს.

## **მუხლი 22**

### **ტრანსპოზიცია**

2007 წლის 12 იანვრამდე, წევრი სახელმწიფოები აამოქმედებენ იმ კანონებს, ნორმატიულ და ადმინისტრაციულ დებულებებს, რაც წინამდებარე დირექტივასთან შესაბამისობაში მოსაყვანად არის საჭირო. ამის შესახებ ისინი დაუყოვნებლივ აცნობებენ კომისიას.

წევრი სახელმწიფოების მიერ ასეთი დებულებების მიღებისას, მათში კეთდება მითითება წინამდებარე დირექტივაზე ან, მათი ოფიციალურად გამოქვეყნების შემთხვევაში, ასეთი მითითება თან ერთვის. წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ, თუ როგორ გაკეთდეს ეს მითითება.

## **მუხლი 23**

### **გარდამავალი დებულება**

III თავში ჩამოყალიბებული დებულებებიდან გადახვევის სახით და 22-ე მუხლში მითითებული თარიღიდან არაუმეტეს 2 წლის განმავლობაში, წევრი სახელმწიფოები არ არიან ვალდებული, ნებართვები ამ დირექტივის თანახმად ბინადრობის ნებართვის სახით გასცენ.

## **მუხლი 24**

### **ვადები**

2003/109/EC დირექტივის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 აბზაცის დარღვევის გარეშე, წევრი სახელმწიფოები არ არიან ვალდებული, გაითვალისწინონ ის პერიოდი, რა დროითაც სტუდენტი, გაცვლით პროგრამაში მონაწილე მოსწავლე, არაანაზღაურებადი სტაჟიორი ან მოხალისე ამ სახით მათ ტერიტორიაზე, შესაბამისი მესამე ქვეყნის მოქალაქეებისათვის ეროვნული კანონის თანახმად, სხვა დამატებითი უფლებების მინიჭების მიზნით ცხოვრობდნენ.

## **მუხლი 25**

### **ძალაში შესვლა**

წინამდებარე დირექტივა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს შედის ძალაში.

## **მუხლი 26**

### **ადრესატები**

წინამდებარე დირექტივის ადრესატები არიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, ევროპის გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების თანახმად.

შესრულებულია ბრიუსელში, 2004 წლის 13 დეკემბერს.

საბჭოს სახელით

პრეზიდენტი ბ. რ. ბოტი

(B. R. BOT)

---

<sup>(1)</sup> [OJ C 68 E, 18.3.2004, გვ. 107.](#)

<sup>(2)</sup> [OJ C 133, 6.6.2003, გვ. 29.](#)

<sup>(3)</sup> [OJ C 244, 10.10.2003, გვ. 5.](#)

<sup>(4)</sup> [OJ L 157, 15.6.2002, გვ. 1.](#)

<sup>(5)</sup> [OJ L 16, 23.1.2004, გვ. 44.](#)

---